

კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის

წესდება



2016  
თბილისი

## მუხლი 1.

### ზოგადი დებულებანი

- 1.1. “კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის” (შემდგომში - კოალიცია) არის არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი საერთაშორისო კონვენციების, დეკლარაციების, აქტებისა და ამ წესდების შესაბამისად.
- 1.2. კოალიცია წარმოადგენს სამართალმემკვიდრეს საქართველოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციას შესახებ, რომელიც რეგისტრირებულია 05.05.2003 წელს ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის №5/9-738.
- 1.3. კოალიცია, თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.
- 1.4. კოალიციის ადგილსამყოფელია საქართველო, ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. №72 (იურიდიული); კედიას ქ 7 (ფაქტობრივი)

## მუხლი 2

### მიზნები

#### 2.1. კოალიციის მიზნებია:

ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებლობას და კეთილდღეობას საზოგადოებაში.

- ა) საზოგადოებაში შეზღუდულ შესაძლებლობაზე ცნობიერების დონის ამაღლება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კანონიერი ინტერესების დამკვიდრება;
- ბ) შეზღუდულ შესაძლებლობაზე სახელმწიფოს საკანონმდებლო ბაზის განვითარება;
- გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ღირსების, უფლებებისა და თანაბარი შესაძლებლობების - თავისუფლებების დაცვა;
- დ) ამ სფეროში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა.
- ე) ფინანსური სახსრების დაგროვება და გაცემა, მათ შორის გრანტების, მე-2 მუხლის ა-დ პუნქტებში ასახული მიზნებისა და მე-3 მუხლში ასახული საქმიანობების განსახორციელებლად;

## მუხლი 3

### საქმიანობის ფორმები

#### 3.1. საწესდებო მიზნების მისაღწევად კოალიცია:

- ა) ეწევა საგანმანათლებლო-შემეცნებით საქმიანობას შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე ადამიანთა მიერ საკუთარი უფლებების გაცნობიერების და უფლებათა გამოყენების უნარ-ჩვევების ამაღლებისათვის;
- ბ) ზრუნავს შშმ პირთა საკითხებზე თანამედროვე ლიტერატურით აღჭურვილი საბიბლიოთეკო ქსელის განვითარებაზე;
- გ) ეწევა საგამომცემლო და მთარგმნელობით საქმიანობას;
- დ) ხელს უწყობს შშმ პირთა სამართლებრივი დაცვის ეფექტური ინფრასტრუქტურისა და რესურსცენტრების შექმნას;

- ე) ქმნის საინფორმაციო, იურიდიული მომსახურების ცენტრებს და ეწევა საადვოკატო საქმიანობას;
- ე) ლობირებს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან;
- ვ) ეწევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების პოპულარიზაციას და ხელს უწყობს მათ მიმართ პატივისცემის დამკვიდრებას;
- ზ) ხელს უწყობს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი იურიდიული და სამოქალაქო განათლების სისტემის ჩამოყალიბებას;
- თ) თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის პროფესიულ გაერთიანებებთან;
- ი) ეწევა მოსახლეობაში სამართლებრივ, საინფორმაციო-შემეცნებით საქმიანობას;
- კ) ორგანიზებას უკეთებს სოლიდარობის და/ან საპროტესტო აქციებსა და საზოგადოებრივ კამპანიებს;
- ლ) აწარმოებს ქვეყანაში მოქმედი პროგრამების მონიტორინგსა და შეფასებას;
- მ) სამართლებრივი ექსპერტიზის, შეფასებისა და მონიტორინგის, ასევე ორგანიზაციის პოზიციების გამოხატვის გზით აქტიურად მონაწილეობს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხების განხილვაში;
- ნ) ქმნის კოალიციის სტრუქტურულ ერთეულებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;
- ო) ეწევა დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც არ ცვლის მისი, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირის ხასიათს;
- პ) ეწევა სხვა საქმიანობას, რომელიც არ არის აკრძალული კანონით.

## მუხლი 4

### წევრობა

4.1. კოალიციას აქვს წევრობის 3 ფორმა:

- ა) ნამდვილი წევრი;
- ბ) ასოცირებული წევრი;
- გ) საპატიო წევრი;

4.2. კოალიციის ნამდვილი წევრი შეიძლება გახდეს:

- ა) ნებისმიერი ფორმის შპს პირთა (აგრეთვე, მშობელი/მეურვე) მიერ შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაცია;
- ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ნებისმიერი ტიპის მომსახურების მიმწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კოალიციის ნამდვილ წევრთა საერთო რაოდენობის 25%-ს.

4.3. კოალიციის ასოცირებული წევრი შეიძლება გახდეს:

- ა) ნებისმიერი ფორმის შპს პირთა (აგრეთვე, მშობელი/მეურვე) მიერ შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაცია;
- ბ) ნებისმიერი ფორმის შპს ფიზიკური (აგრეთვე, მშობელი/მეურვე) პირი;
- გ) ნებისმიერი პირი, რომელთა საქმიანობაც პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებულია კოალიციის მიზნებთან.

4.4. საპატიო წევრი შეიძლება გახდეს პიროვნება, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა კოალიციის მიზნების მხარდაჭერასა და განვითარებაში.

4.5 კოალიციის წევრობის მსურველი დადგენილი ფორმით მიმართავს კოალიციის გამგეობას.

გამგეობა განიხილავს წევრად მიღების მსურველის განაცხადს და ამზადებს მას უახლოეს საერთო კრებაზე წარსადგენად, თუ ის აკმაყოფილებს დადგენილ ნორმებს. გაწევრიანების საკითხის გადაწყვეტამდე წევრობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ბოლო ორი წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ და კოალიციის ორი ნამდვილი წევრის დადგენილი ფორმის წერილობითი რეკომენდაცია.

4.6. კოალიციის დამფუძნებლები და შემდგომ გაწევრიანებული პირები თანაბარი სტატუსით სარგებლობენ.

4.7. კოალიციის წევრს უფლებამოსილება უწყდება:

- ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;
- ბ) საწევრო შენატანის სამი თვის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში;
- გ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი ქმედუუნაროდ ცნობისას;
- დ) გარდაცვალებისას (კერძო პირის შემთხვევაში) ან ლიკვიდაციისას (იურიდიული პირის შემთხვევაში);

4.8. საერთო კრების გადაწყვეტილებით კოალიციის წევრი შეიძლება გაირიცხოს კოალიციიდან, თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება კოალიციის მიზნებს ან იგი უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და ეთიკურ ნორმებს.

## მუხლი 5

### წევრთა უფლება-მოვალეობანი

5.1 კოალიციის ნამდვილ წევრს უფლება აქვს:

- ა) მონაწილეობდეს კოალიციის საერთო კრების მუშაობაში;
- ბ) აირჩიოს და არჩეულ იქნეს კოალიციის მმართველობის ორგანოებში;
- გ) კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შესაბამისად მონაწილეობდეს კოალიციის პროგრამებში;
- დ) სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობდეს გამგეობის სხდომებში;
- ე) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია კოალიციის ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირებისაგან კოალიციის საქმიანობის შესახებ;
- ვ) კოალიციის მიზნების შესაბამისად, შესაძლებლობის ფარგლებში, ისარგებლოს კოალიციის საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;
- ზ) ატაროს კოალიციის ემბლემა.

5.2 კოალიციის წევრი მოვალეა:

- ა) დაიცვას კოალიციის წესდება, შინაგანაწესი და მმართველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
- ბ) გაუფრთხილდეს კოალიციის ღირსებას, ავტორიტეტსა და ქონებას;
- გ) შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად მონაწილეობდეს კოალიციის საქმიანობაში;
- დ) პროფესიულ საქმიანობაში იხელმძღვანელოს კოალიციის მიზნებითა და საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ეთიკის კოდექსით აღიარებული პრინციპებით;
- ე) გადაიხადოს საწევრო შესატანი დადგენილი წესითა და ოდენობით.

5.3. კოალიციის ასოცირებული წევრის უფლება-მოვალეობა:

- ა) გადაწყვეტილების ხმის უფლებისა და გამგეობის სხდომებზე დასწრების უფლების გარდა სარგებლობს ყველა უფლებით და მოვალეობით, რითაც ნამდვილი წევრი;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ფიზიკურ პირებს (აგრეთვე, მშობელი/მეურვე) ბოლო სამი წლის სფეროში აქტივების შესახებ იმფორმაციის წარმოდგენის შემდეგ უფლება აქვთ არჩეულ იქნან კოალიციის გამგეობაში ყველა შესაბამისი უფლებით;

## მუხლი 6

### საერთო კრება

6.1. კოალიციის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა კოალიციის წევრთა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა გამგეობის ან ნამდვილ წევრთა 1/4-ის მიერ წელიწადში მინიმუმ ერთხელ;

6.2. საერთო კრების დღის წესრიგში წესდების ცვლილებების საკითხის შეტანას წყვეტს გამგეობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცვლილებებისა და დამატებების პროექტი წარდგენილ იქნა კოალიციის წევრთა ერთი მეთედის მოთხოვნით.

6.3. საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით, თუ წესდებით ან კანონით სხვა რამე არ არის გათვალისწინებული. ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმის გადაცემა დაუშვებელია.

6.4. საერთო კრება:

ა) საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ნამდვილ წევრთა 2/3;

ბ) დამსწრეთა 2/3-ის უმრავლესობით იღებს კოალიციის წესდებსა და ცვლილებები შეაქვს მასში;

გ) **ფარული** კენჭისყრით დამსწრეთა 2/3-ის უმრავლესობით ირჩევს გამგეობის წევრებს. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში იმართება ხელმეორე კენჭისყრა;

დ) ისმენს კოალიციის საქმიანობისა და ფინანსურ ანგარიშს და ამტკიცებს მას;

ე) დამსწრეთა უმრავლესობით ამტკიცებს გამგეობის მიერ წარმოდგენილ კოალიციის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს;

ვ) დამსწრეთა უმრავლესობით 5 წლის ვადით ირჩევს კოალიციის სარევიზიო კომისიას;

ზ) დამსწრეთა 2/3-ით იღებს გადაწყვეტილებას კოალიციის რეორგანიზაციის შესახებ;

თ) წევრთა 2/3-ით იღებს გადაწყვეტილებას ორგანიზაციის თვითლიკვიდაციის შესახებ;

ი) დამსწრეთა ორი მესამედით იღებს გადაწყვეტილებას წევრის კოალიციიდან გარიცხვის ან შეჩერების შესახებ.

6.5. რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა კოალიციის გამგეობის მიერ:

ა) საკუთარი ინიციატივით;

ბ) კოალიციის წევრთა 1/4-ის მოთხოვნით, ასეთი მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს ორი თვისა;

გ) სარევიზიო კომისიის ინიციატივით.

## მუხლი 7

### გამგეობა

7.1. კოალიციის ხელმძღვანელი ორგანოა 5 წევრისაგან შემდგარი კოალიციის გამგეობა, რომლის წევრებსაც ხუთი წლის ვადით ირჩევს საერთო კრება. გამგეობის წევრად შეიძლება აირჩეს ის პირიც, რომელიც არ იმყოფება საერთო კრებაზე, თუ არსებობს მისი წინასწარი წერილობითი თანხმობა გამგეობის წევრად არჩევის თაობაზე.

7.2. **ფარული** კენჭისყრით დამსწრეთა უმრავლესობით ირჩევს გამგეობის თავმჯდომარეს (შემდგომში “თავჯდომარეს”).

7.3 გამგეობის სხდომები იმართება ყოველი თვის ბოლო კვირაში. რიგგარეშე სხდომა მოიწვევა კოალიციის გამგეობის წევრთა ერთი მესამედის ან თავჯდომარის მოთხოვნით. გამგეობა უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით. გამგეობის წევრებს გამგეობის ჩატარების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ ეცნობებათ სხდომამდე 5 დღით ადრე მაინც, ხოლო რიგგარეშე სხდომის მოწვევის შემთხვევაში - დაუყოვნებლივ.

7.4. გამგეობა:

- ა) იწვევს და ატარებს საერთო კრებას, კრების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ ორი კვირით ადრე მაინც აცნობებს კოალიციის წევრებს;
- ბ) კოალიციის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტს საერთო კრებისათვის წარსადგენად ავრცელებს კრებამდე მინიმუმ 5 დღით ადრე;
- გ) სარეკომენდაციო წერილით მიმართავს კოალიციის იმ წევრს, რომლის საქმიანობაც ეწინააღმდეგება კოალიციის მიზნებს ან რომელიც უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;
- დ) შეიმუშავებს და საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს კოალიციის საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებების პროექტს;
- ე) ამტკიცებს კოალიციის მიერ გაწეული საქმიანობისა და ფინანსურ ანგარიშს საერთო კრებისათვის წარსადგენად;
- ვ) ამტკიცებს კოალიციის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და საბიუჯეტო პარამეტრებს;
- ზ) წყვეტს კოალიციის რეგისტრირებულ ორგანიზაციებში წევრობის საკითხებს;
- თ) თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს კოალიციის თანამშრომელთა სახელფასო ბაძეს;
- ი) თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს კოალიციის ორგანიზაციულ სტრუქტურას;
- კ) თავჯდომარის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებებს კოალიციის რეგიონული ერთეულების შექმნისა და გაუქმების შესახებ, ამტკიცებს მათ დებულებებს და ხელმძღვანელებს;
- ლ) ფარული კენჭისყრით დამსწრეთა წევრთა უმრავლესობით თანამდებობიდან გადააყენებს გამგეობის თავმჯდომარეს;
- მ) აფუძნებს კოალიციის საწარმოებს და გამგეობის თავმჯდომარის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს მათ ხელმძღვანელებს;
- ნ) წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც ამ წესდებით არ განეკუთვნება საერთო კრებისა და სხვა მმართველი ორგანოების კომპეტენციას.

7.4. გამგეობის თითოეულ წევრს უფლება აქვს იყოს ჩართული და მონაწილეობა მიიღოს კოალიციის მიერ განსახორციელებელ პროექტებში. ერთიდაიმავე პროექტის განხორციელებაში დაუშვებელია მონაწილეობდეს გამგეობის ორი წევრზე მეტი გამგეობის თავმჯდომარის გარდა.

7.5. გამგეობის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში გამგეობის წევრი ხდება ის პირი, რომელმაც დააგროვა ხმათა მეტი, მაგრამ გამგეობის წევრად არჩევისათვის არასაკმარისი რაოდენობა უკანასკნელ საერთო კრებაზე. თანაბარი ხმების მქონე პირთაგან გამგეობის წევრი შეირჩევა გამგეობის მიერ ჩატარებული კენჭისყრით ახლად არჩეული გამგეობის წევრი უფლებამოსილებას ახორციელებს გამოკლებული გამგეობის წევრის უფლებამოსილების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 8

თავმჯდომარე

8.1. კოალიციის გამგეობის თავმჯდომარეს გამგეობის წევრთაგან ხუთი წლის ვადით ირჩევს გამგეობა პირველსავე სხდომაზე. თავმჯდომარის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს გამგეობის ყოველ წევრს. გამგეობის თავმჯდომარის უფლებამოსილება იწყება არჩევის მომენტიდან და გრძელდება შესაბამისად ახალი თავმჯდომარის არჩევამდე.

8.2. თავმჯდომარე:

- ა) მოქმედებს კოალიციის გამგეობის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში;
- ბ) გაწეული საქმიანობის შესახებ 6 თვეში ერთხელ ანგარიშს აბარებს გამგეობას;
- გ) გამგეობის მიერ დადგენილი წესით განკარგავს კოალიციის ფულად სახსრებსა და მატერიალურ რესურსებს და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე, ხელს აწერს შესაბამის ოფიციალურ და საფინანსო დოკუმენტაციას;
- დ) გამგეობასთან ერთად ამტკიცებს განსახორციელებელი პროგრამების პროექტებს;
- ე) დებს ხელშეკრულებებს პროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე კოალიციის სახელით;
- ვ) გამგეობასთან შეთანხმებით ნიშნავს და ათავისუფლებს პროექტის კოორდინატორებს;
- ზ) ნიშნავს და ათავისუფლებს კოალიციის თანამშრომლებს;
- თ) უძღვება გამგეობის სხდომებს და პასუხს აგებს გამგეობის საქმიანობაზე როგორც გამგეობის რიგითი წევრი და არა როგორც თავმჯდომარე;
- ი) უძღვება კოალიციის წევრებთან და წევრობის მსურველებთან მუშაობას გამგეობის მიერ დადგენილი წესით;
- კ) ხელს აწერს კოალიციის ოფიციალურ დოკუმენტებს;
- ლ) ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

8.3. თავმჯდომარის საქმიანობის წესი განისაზღვრება მოქმედი წესდებით და გამგეობის დებულებით თავმჯდომარის საქმიანობის წესის შესახებ;

8.4. თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან კოალიციის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია მხოლოდ გამგეობას. ასეთ შემთხვევაში გამგეობა ერთი თვის ვადაში ირჩევს ახალ თავმჯდომარეს დარჩენილი ვადით.

8.5. გამგეობის თავმჯდომარეს უფლება არა აქვს იმავდროულად იყოს საჯარო სამსახურში ან ეწეოდეს ისეთ საქმიანობას, რომელიც ხელს უშლის მის მიერ თავმჯდომარის უფლებამოსილებათა განხორციელებას დატვირთვის გამო.

## მუხლი 9

### სარევიზიო კომისია

9.1. გამგეობის და მათ მიერ დანიშნული (დამტკიცებული) თანამდებობის პირების მიერ კოალიციის წესდების შესრულებისა და ფინანსური სახსრების თუ სხვა ქონების საწესდებო მიზნების შესაბამისად გამოყენებაზე კონტროლს ახორციელებს კოალიციის სარევიზიო კომისია, რომელსაც ორი წლის ვადით სამი წევრის შემადგენლობით ირჩევს საერთო კრება. სარევიზიო კომისია არჩევიდან ერთი თვის განმავლობაში საკუთარ წევრთაგან ირჩევს თავმჯდომარეს. სარევიზიო კომისია მუშაობს მის მიერ შემუშავებული რეგლამენტით.

9.2. სარევიზიო კომისიაში შემავალი პირი იმავდროულად არ შეიძლება იყოს კოალიციის გამგეობის წევრი ან მუდმივი ანაზღაურების მქონე თანამშრომელი.

9.3. სარევიზიო კომისია წელიწადში ერთხელ მაინც აწყობს საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტების რევიზიას და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციას. რევიზიის შედეგები მოხსენდება გამგეობასა და მორიგ საერთო კრებას. სარევიზიო კომისია გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით.

9.4. სერიოზული დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში სარევიზიო კომისია იწვევს გამგეობის რიგგარეშე სხდომას ან რიგგარეშე საერთო კრებას და გაუძღვება მას.

9.5. სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში კომისიის წევრი ხდება ის პირი, რომელმაც დააგროვა ხმათა მეტი, მაგრამ სარევიზიო კომისიის წევრად არჩევისათვის არასაკმარისი რაოდენობა უკანასკნელ საერთო კრებაზე. თანაბარი ხმების მქონე პირთაგან სარევიზიო კომისიის წევრი შეირჩევა კომისიის მიერ ჩატარებული წილისყრით. ახლად არჩეული სარევიზიო კომისიის წევრი უფლებამოსილებას ახორციელებს გამოკლებული კომისიის წევრის უფლებამოსილების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.

## მუხლი 10

### კოალიციის ქონება

10.1. კოალიციის ქონება იქმნება საწევრო შენატანების, წევრთა და სხვა პირთა შემოწირულობების, გრანტების, დამხმარე სამეწარმეო საქმიანობითა და სხვა კანონიერი გზით მიღებული შემოსავლებისაგან.

10.2. კოალიციის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მისი საწესდებო მიზნების განხორციელებას.

## მუხლი 11

### კოალიციის საქმიანობის შეწყვეტა

11.1 კოალიციის ლიკვიდაცია ხდება:

- ა) კოალიციის საერთო კრების გადაწყვეტილებით;
- ბ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს გადაწყვეტილებით.

11.2. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება სალიკვიდაციო კომისიის მიერ გადაეცემა მსგავსი მიზნების მქონე სხვა არასამეწარმეო იურიდიულ პირებს.